

რა არის ჩვენი სოფლის მეურნეობის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა?

სოფლის მეურნეობა არის მეცნიერება მიწის დამუშავების, მოსავლის მოყვანისა და პირუტყვის გამოკვების, მოშენების და მომრავლების შესახებ. საფერმერო მეურნეობის გაძლიერება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და აგროქიმიკატების ფართო გამოყენება, გახდა გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ახლა მსოფლიოში კვების და სოფლის მეურნეობის წარმოების თანამედროვე სისტემები უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე დგას. ქვემოთ წარმოგიდგინთ იმ გამოწვევების მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.



მტკნარი წყლის გლობალური მოპოვების და მოხმარების აბსოლუტური უმრავლესობა (68%) სოფლის მეურნეობაზე მოდის. ვარაუდობენ, რომ 2025 წლისთვის, დაახლოებით 1,8 მილიარდი ადამიანი იცხოვრებს ისეთ ქვეყნებში ან რეგიონებში, სადაც წყლის აბსოლუტური დეფიციტი იქნება.¹



სათბურის აირების (GHG3) გლობალური ემისიების დაახლოებით მეოთხედი მოსავლის მოყვანისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების პირდაპირი შედეგია. მეცნიერების ვარაუდით, 2010 წლიდან 2050 წლამდე ემისიები მინიმუმ 28%-ით გაიზრდება.⁴



მსოფლიო მარცვლეული კულტურების სამი მეოთხედი და 690 პირუტყვის ჯიში მე-19 საუკუნის შუა წლებიდან გადაშენების შეუქცევადი პროცესის შედეგად განადგურდა.² მონოკულტურულ მეურნეობაში ქიმიური ნივთიერებების მზარდი გამოყენება უარყოფით გავლენას ახდენს დამტკვრავ მწერებზე და ხშირად ხდება მათი პოპულაციების შემცირების მიზეზი.



სოფლის მეურნეობის მუშაკები დაბალ ანაზღაურებას იღებენ მძიმე შრომისა და რთული საცხოვრებელი პირობების ფონზე. ეს არის მნიშვნელოვანი და საყურადსაღებო საკითხები, რომელიც უთანასწორობის საფუძველს ქმნის.

როგორ გააუმჯობესებს მდგრადი სოფლის მეურნეობა სისტემას?



მდგრადი სოფლის მეურნეობა იცავს გარემოს დეგრადაციისგან და გულისხმობს ბუნებრივი რესურსების შეძლებისდაგვარად ეფექტურად (შეზღუდულად) გამოყენებას.

შესაძლებლობის ფარგლებში, მდგრადი სოფლის მეურნეობა თავს არიდებს ან მინიმუმამდე ამცირებს გარემოსათვის განსაკუთრებით მავნე ზემოქმედების მქონე საშუალებების გამოყენებას, როგორცაა ქიმიური სასუქები და პესტიციდები. ამის ნაცვლად, უფრო მეტად გამოიყენება ბიოლოგიური და ეკოლოგიური მეთოდები.

მდგრადი სოფლის მეურნეობა ფერმერებს დაეხმარება, რომ უფრო რეზისტენტული გახდნენ ექსტრემალური ამინდის პირობებისა და არასტაბილური ბაზრების მიმართ, მოყვანილი პროდუქტების სახეობების დივერსიფიკაციის საშუალებით.

¹ გასურტი და სხვები (2015); სახნავ-სათესი მიწა და საძოვრები რამანკუტიდან და სხვ. (2008)
² ჩვენი სამყარო მონაცემებში (2020), ტყეების გაჩეხვის სტიმულატორები, <https://ourworldindata.org/drivers-of-deforestation>
³ სათბურის გაზების ემისიები
⁴ მსოფლიო ბანკი (2010). 2010 წლის მსოფლიო განვითარების ანგარიში: განვითარება და კლიმატის ცვლილება, <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/4387>

სოციალური მიზნები:

ადგილობრივ მოსახლეობაზე და მათ საჭიროებებზე, ცოდნაზე, უნარებზე, სოციალურ-კულტურულ ღირებულებებზე და ინსტიტუციურ სტრუქტურებზე ორიენტირება

გარემოსდაცვითი მიზნები:

წყლის დაზოგვა, სასუქების და პესტიციდების გამოყენების შემცირება და მარცვლეული კულტურების მოყვანით გამონვეული ზემოქმედებისგან ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების დაცვა

ეკონომიკური მიზნები:

ფერმების ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და ფერმერების დახმარება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში



გრაფიკა 1-3 მდგრადი განვითარების პუნქტები

მდგრადი სოფლის მეურნეობის სარგებელი

- ხელს უწყობს ნიადაგის ხანგრძლივ ნაყოფიერებას
- ამცირებს ნიადაგის ეროზიის რიკვებს
- აუმჯობესებს მწარმოებლების რეზისტენტობას არასასურველი კლიმატური პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მიმართ
- ამცირებს სათბურისაირების ემისიებს³
- გამორიცხავს სინთეზური პესტიციდების და სასუქების გამოყენების შედეგად წყლისა და ნიადაგის დაბინძურებას.
- ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და პოპულაციების რაოდენობის ზრდას ჰაბიტატების შენარჩუნებისა და მართვის გზით.



როგორ შეუქმნია პროკრედიტს კიდევ უფრო დააჩქაროს მდგრად სოფლის მეურნეობაზე გადასვლა?



▶ საჭირო იქნება ინდივიდუალური, ინსტიტუციური და გლობალური ქმედებების განხორციელება მდგრადი სოფლის მეურნეობაზე გადასვლის დასაჩქარებლად

როგორ გეგმავს პროკრედიტი მდგრადი სოფლის მეურნეობისადმი საკუთარ მიდგომაში ცხოველთა კეთილდღეობის ინტეგრირებას?

"ქარხნული მეურნეობა", ხშირად მოიცავს საფრთხის შემცველ მეთოდებს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ცხოველების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე და სულ უფრო მეტად ცვლის მცირე ზომის მეურნეობების პრაქტიკას. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია დავინიშოთ ცხოველთა კეთილდღეობის საკითხების ინტეგრირება ცხოველური პროდუქტების მწარმოებელი ჩვენი კლიენტების შეფასებაში.

გასულ წელს ჩვენ შევქმენით ცხოველთა კეთილდღეობის სამუშაო ჯგუფი (რომელიც შედგება ჯგუფის საკრედიტო რისკების, ჯგუფის გარემოსდაცვითი მართვის და IPC განყოფილებების კოლეგებისგან), ქვემოთ წარმოდგენილი შემდეგი საერთო მიზნების მისაღწევად (იხ. გრაფიკა 2).

როგორც მე-2 გრაფიკაში ჩამოთვლილი მიზნების განხორციელების წინაპირობა, ჩვენ ჩავატარეთ პროკრედიტ ბანკის ცხოველური პროდუქტების მწარმოებელი ოთხი უმსხვილესი პორტფელის მფლობელი კლიენტის მიერ გამოყენებული პრაქტიკების და ევროკავშირის მიერ დადგენილი ცხოველთა კეთილდღეობის მოთხოვნების შესაბამისობის ანალიზი (ევროკავშირის დირექტივა ფერმერული მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დაცვის შესახებამ ანალიზის დასკვნები წარმოვადგინეთ მწვანე დაფინანსების სემინარზე, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში გაიმართა.

ცხოველთა კეთილდღეობის სამუშაო ჯგუფის მიერ გადადგმული შემდეგი ნაბიჯები იქნება ცხოველთა კეთილდღეობის ინტეგრირება ჩვენს ამჟამინდელ გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებაში, ასევე გამოწვევის სიის განსაზღვრა, რომელიც გამორიცხავს კლიენტების დაფინანსებას, რომლებიც ფერმერულ მეურნეობებში გარკვეულ არაეთიკურ პრაქტიკას იყენებენ, რომლებიც განსაკუთრებით საზიანოა ცხოველების კეთილდღეობისთვის. შემდგომ დაგეგმილია ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ ტრენინგის შემუშავება და ჩატარება.



გრაფიკა 2 - ცხოველთა კეთილდღეობის სამუშაო ჯგუფის საერთო მიზნები

ჩვენი ქალისხევა პროგრადიტ ბანკში მდგრადი სოფლის მეურნეობის მისაღწევად

პროგრადიტ ბანკ საქართველო, როგორც პროგრადიტ ჯგუფის წევრი, იზიარებს ჯგუფის მიდგომებს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების დაფინანსებასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების ნაცვლად, ორგანული ნივთიერებების გამოყენებას. აგრეთვე, ფერმერულ მეურნეობებში ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებას ჩვენს საქმიანობაში. ვცდილობთ, მუდმივად მხარი დავუჭიროთ ისეთი ბიზნეს მოდელის დაფინანსებას, რომელიც გულისხმობს გარემოსადმი მეგობრული ინვესტიციის განხორციელებას, რისკების პრევენციის, შემცირების და შერბილებისა სტრატეგიული მიდგომების გათვალისწინებით და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის გზით. ჩვენ გათვითცნობიერებული გვაქვს ის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებამ, ფერმერული მეურნეობაში არამდგრადი მეთოდების გამოყენებამ შესაძლებელია, რომ გამოიწვიოს. ამიტომ უარს ვამბობთ იმ ინვესტიციებზე, რომელებიც ბიზნესის მდგრადი სცენარით განვითარებას გამორიცხავს.